



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
თავმჯდომარის

ბ რ კ ა ნ ე ბ ა

№ _____

„

”

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 37-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებისა და საქართველოს შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ კ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი N1).

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტში (შემდგომში – დეპარტამენტი) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვროს დეპარტამენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის განყოფილების უფროსის მოადგილე ელზა ჯაფოშვილი და დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის ქვეგანყოფილების უფროსი ალექსანდრე გულიაშვილი.

3. დეპარტამენტის ვებგვერდის მისამართია: www.125.ge

4. დეპარტამენტის ვებგვერდზე ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

5. დეპარტამენტის ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას, აგრეთვე დადგენილი პერიოდულობით მის განახლებას უზრუნველყოფენ დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები. ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი.

6. ვებგვერდზე ინფორმაცია უნდა განთავსდეს ისეთი ფორმით, რომ მისი ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება შესაძლებელი იყოს ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

7. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს:

ა) დეპარტამენტის ადმინისტრაციას უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების, ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და გაცემის შესაბამისი ელექტრონული რესურსის შექმნა;

ბ) დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებმა, დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან კოორდინაციის მიზნით, განსაზღვრონ საკონტაქტო პირი (პირები);

გ) დეპარტამენტის დანაყოფებს, ბრძანებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად და მითითებულ ვადებში მიაწოდონ ინფორმაცია დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით დადგენილ ვადებში გამოქვეყნების მიზნით;

დ) დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ბიუროს (სამსახური) 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხის გაცემა მოითხოვს მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას, რაც შეუძლებელს ხდის ინფორმაციის ამ ვადაში მიწოდებას. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი ვალდებულია საჯარო ინფორმაციის ბიუროს (სამსახური) ინფორმაცია მიაწოდოს არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, ხოლო მოთხოვნის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს საჯარო ინფორმაციის ბიუროს (სამსახური) 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ინფორმაციის მიწოდების შეუძლებლობის შესახებ, მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების აუცილებლობის გამო;

ვ) დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, ყოველი წლის 30 ნოემბრამდე სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ბიუროს (სამსახური) წარუდგინონ ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ემუხლის შესაბამისად;

ზ) დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, 2013 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის პირველადი გამოქვეყნება დეპარტამენტის საკუთარ (შესაბამის) ელექტრონულ რესურსზე.

8. დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებისათვის სავალდებულოა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ბიუროს (სამსახური) რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულება.

9. პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება არ ვრცელდება იმ კატეგორიის ინფორმაციაზე, რომელიც დაკავშირებულია ან შეიძლება იყოს დაკავშირებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან, სისხლის სამართლებრივ დევნასა და სისხლის სამართლის საქმისწარმოებასთან, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოებასთან და/ან თავდაცვასთან.

10. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

თავმჯდომარე

გურამ ტომარაძე